პროექტი “კვლევის პასუხისმგებლობით წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში (ETHICS)”

დამფინანსებელი: ევროკავშირი, ერაზმუს+ ინსტიტუციური განვითარების საგრანტო პროგრამა

პროგრამის განაცხადი: ERASMUS-EDU-2022-CBHE-STRAND-3
პროექტის ნომერი: 101082546
პროექტის ხანგრძლივობა: 48 თვე (01/02/2023 – 31/01/2027)

“Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or The European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor the granting authority can be held responsible for them.”

2023 წლის 1 მარტს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის ,,კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში (ETHICS)“ პირველი ეროვნული შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდნენ როგორც კონსორციუმის წევრი, ქართული უმაღლესი სკოლების წარმომადგენლები, ასევე კონსორციუმის არასაუნივერსიტეტო პარტნიორი ორგანიზაციების: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები.

პროექტი ,,კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში (ETHICS)“ აერთიანებს ათ ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, ოთხ ევროპულ პარტნიორ უმაღლეს სკოლასა და ორგანიზაციას, სამ ქართულ სახელმწიფო ინსტიტუციას.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია კონსორციუმის წევრი უმაღლესი სკოლაა. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში პროექტს ახორციელებს თსს აკადემიის სამეცნიერო დაშემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახური. მომავალი ოთხი წლის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში კვლევის პასუხისმგებლიანად წარმართვის მექანიზმების შემუშავებსა და დანერგვაზე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახურთან ერთად იმუშავებენ თსს აკადემიის შესაბამისი სამსახურები, ფაკულტეტები და კვლევითი ერთეულები.

ოთხწლიანი პროექტი მიზნად ისახავს საუკეთესო სამეცნერო კვლევითი პრაქტიკის გაზიარებისა და ერთობლივი სამუშაო პროცესის გზით კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერების მიმართულებით არსებული მექანიზმების, პროცედურებისა და სერვისების გაუმჯობესებას.

- **მოკლედ პროექტის შესახებ**

- პროექტის ძირითადი მიზანია კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერების მიმართულებით არსებული მექანიზმების, პროცედურებისა და სერვისების გაუმჯობესება უნივერსიტეტთა დონეზე.

- **პროექტის კოორდინატორი**

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

- **კონსორციუმის ევროპელი პარტნიორები:**

- ამსტერდამის თავისუფალი უნივერსიტეტი

- ჩარლზის უნივერსიტეტი

- მასარიკის უნივერსიტეტი

- აკადემიური კეთილსინდისიერების ევროპული ქსელი/ასოციაცია

არასაუნივერსიტეტო პარტნიორები:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

ქართული უნივერსიტეტები:

- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- კავკასიის უნივერსიტეტი
- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი
- შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://ethics.iliauni.edu.ge/

ILIA STATE UNIVERSITY
Co-funded by the Erasmus+ Programme of the European Union
RESPONSIBLE CONDUCT OF RESEARCH
RESEARCH INTEGRITY AND ETHICS IN GEORGIAN UNIVERSITIES